

ქ. თბილისი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში - შემსყიდველი ან/და ქალაქი), წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის ირაკლი ლეჭვიანიძის სახით და მეორე მხრივ, „World Council on City Data“ (შემდგომში - მიმწოდებელი ან/და ქმმს), წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის და აღმასრულებელი დირექტორის პატრიცია მაქქარნის სახით, ვღებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება,

ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) საგანია: ქალაქ თბილისის ISO 37120-ის „თემების მდგრადი განვითარება - საქალაქო მომსახურებისა და ცხოვრების ხარისხის ინდიკატორების“ საერთაშორისო სტანდარტით სერტიფიცირებისა და WCCD-ის გლობალური ქალაქების ქსელში რეგისტრაციის მომსახურებების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.2 შესყიდვის საშუალება: გამარტივებული შესყიდვა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-101 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 8 ივნისის N22.05.477 განკარგულების, „ქალაქ თბილისის მერიისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 03 ოქტომბრის N2813 განკარგულებისა (SMP160002610) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 15 სექტემბრის NI-1694 ბრძანების შესაბამისად.

2.3 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: ქალაქ თბილისის ISO 37120-ის „თემების მდგრადი განვითარება - საქალაქო მომსახურებისა და ცხოვრების ხარისხის ინდიკატორების“ საერთაშორისო სტანდარტით სერტიფიცირებისა და ქმმს გლობალური ქალაქების ქსელში რეგისტრაციის მომსახურებების შესყიდვა. მომსახურება მოიცავს ქმმს გლობალური ქალაქების რეგისტრში რეგისტრაციას, მონაცემების დადასტურებას (რომელიც ხორციელდება მესამე დამოუკიდებელი პირის მიერ), მათი შედეგების შესაბამისი სერტიფიკატის მინიჭებას, წერილობითი ფორმით სერტიფიკატის დონის შესახებ რეკომენდაციის გაწევასა და სერტიფიკატის გადაცემას.

პრეტენდენტის მიერ წარდგენილი ინფორმაციის ქალაქების მონაცემების მსოფლიო საბჭოს კრიტერიუმებსა და ინდიკატორების შესაბამისობიდან გამომდინარე პრეტენდენტ ქალაქს ენიჭება ხუთი კატეგორიიდან ერთერთი კატეგორიის სერტიფიკატი.

ქალაქების მონაცემების მსოფლიო საბჭოს (შემდგომში - ქმმს) ISO 37120 სერტიფიკატის კატეგორიებია:

სასურველი	ბრინჯაო	ვერცხლი	ოქრო	პლატინა
30-45 ძირითადი ინდიკატორი	46-59 ინდიკატორები (46 ძირითადი + 0-13 დამხმარე)	60-75 ინდიკატორები (46 ძირითადი + 14-29 დამხმარე)	74-90 ინდიკატორები (46 ძირითადი + 30-44 დამხმარე)	91-100 ინდიკატორები (46 ძირითადი + 45-54 დამხმარე)

2.4 სერტიფიკატის მოქმედების ვადაა ქმმს ISO 37120 სერტიფიკატის მინიჭებიდან 1 (ერთი) წელი. ვადის გასვლამდე 3 (სამი) თვით ადრე მიმწოდებელი შემსყიდველს გაუგზავნის სერტიფიკატის განახლების შეტყობინებას და საწევრო გადასახადის გადახდის ანგარიშგაქტურას (ინვოისს), შემსყიდველის მიერ შესაბამისი გადახდისა და ISO 37120 სერტიფიკატის მინიჭებისათვის საჭირო ყველა განახლებული ინფორმაციის მიწოდებისა და ამ ინდიკატორების სერტიფიცირების შემდეგ, მიმწოდებელი შემსყიდველს გადაუგზავნის ახალი სერტიფიკატის ასლს და ინფორმაციას სერტიფიკატის მოქმედების ვადის შესახებ.

2.5 შემსყიდველმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მიმწოდებელს ნებისმიერი ფაქტობრივი ცვლილების შესახებ, რომელიც გავლენას მოახდენს შემსყიდველის მიერ მიღებული სერტიფიკატის დონეზე, ისეთი მანველებლის ცვლილების ჩათვლით, რომლებიც სერტიფიკატის ნამდვილობაზე იმოქმედებს.

2.6 შემსყიდველზე გაცემული სერტიფიკატის მოქმედება დროებით შეიძლება შეჩერდეს, თუ:

2.6.1 მიმწოდებელი შეატყობინებს შემსყიდველს, რომ მხარე ექვეყნე აყენებს სერტიფიკატის ადეკვატურობას;

2.6.2 შემსყიდველი დაარღვევს სერტიფიცირებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირობას.

2.7 იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველის სერტიფიკატის მოქმედება შეჩერდა:

2.7.1 მიმწოდებლისთვის შეტყობინებიდან 30 დღის განმავლობაში მიმწოდებელი (ქმმს) ვალდებულია ამ უკანასკნელს მიაწოდოს ინფორმაცია იმ ნაბიჯების შესახებ, რომლებიც უნდა გადაიდგას რათა დროებითი შეჩერება გაუქმდეს;

2.7.2 შემსყიდველმა დაუყოვნებლივ უნდა გადადგას მიმწოდებლის (ქმმს-ს) მიერ მიწოდებული ნაბიჯები, რათა დროებითი შეჩერება გაუქმდეს;

2.7.3 შემსყიდველმა უნდა გადადგას მიმწოდებლის მიერ გონივრულად მოთხოვნილი ნაბიჯები, რათა არ მოხდეს საზოგადოების შეცდომაში შეყვანა.

ქ მიმწოდებელს დააკმაყოფილებს ქალაქის მიერ გადადგმული ნაბიჯები. ეს უკანასკნელი შეტყობინების მეშვეობით გააგებინებს შემსყიდველს სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების გაუქმების შესახებ.

2.9 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 8850 (რვა ათას რვა ას ორმოცდაათი) აშშ დოლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

2.10 ხელშეკრულების 2.9 პუნქტით გათვალისწინებული ღირებულებიდან 7500 (შვიდი ათას ხუთასი) აშშ დოლარი (რეგისტრაციის ღირებულება - 5000 (ხუთი ათასი) აშშ დოლარი; სერტიფიცირების ღირებულება - 2500 (ორი ათას ხუთასი) აშშ დოლარი) არის მიმწოდებლისთვის გადასახდელი, ხოლო 1350 (ათას სამას ორმოცდაათი) აშშ დოლარი საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, უკუდაბეგვრის წესით ბიუჯეტში (დღგ-ს) გადასახდელი თანხა (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად ეროვნულ ვალუტაში), რომელსაც მომსახურების გაწევის შემდეგ იხდის შემსყიდველი.

2.11 კლასიფიკატორის კოდი: 98900000 - ექსტრაქტივობრივი ორგანიზაციებისა და ორგანოების მიერ გაწეული მომსახურებები.

2.12 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 2017 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი დააკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 მომსახურების გაწევის ვადა:

4.1.1 ქმსს გლობალური ქალაქების ქსელში რეგისტრაცია უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში;

4.1.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში ISO 37120-ის დადასტურების პროცესის დასრულებიდან (ISO 37120-ის განმარტებების და მეთოდოლოგიების მიხედვით) და ინდიკატორებზე ანგარიშის მიწოდების შემდეგ - მიმწოდებელმა სერტიფიცირება (რაც მოიცავს მის მიერ გამოყოფილი მესამე დამოუკიდებელი პირის დადასტურების პროცესსა და წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით 2.3 პუნქტით განსაზღვრული ერთერთი კატეგორიის სერტიფიკატის მინიჭებას) უნდა დასრულოს არაუგვიანეს 2017 წლის 20 მაისისა.

4.2 მომსახურების გაწევის ადგილი - კანადა, ტორონტო.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის (ინსპექტირების) განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განხორციელებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის თანამშრომლები.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.4 პუნქტში მითითებული პირები).

6.2 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია - ინვოისი/ანგარიშგაქტურა.

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება 2016-2017 წლების ქალაქ თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, კერძოდ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის სახსრებით - 5900 (ხუთი ათას ცხრა ასი) აშშ დოლარი (რაც მოიცავს საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, უკუდაბეგვრის წესით სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელ თანხას - 900 (ცხრა ასი) აშშ დოლარს)), მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და ინვოისის გადმოგზავნიდან 30 დღის ვადაში;

7.2.2 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის სახსრებით 2950 (ორი ათას ცხრა ასი ორმოცდაათი) აშშ დოლარი (რაც მოიცავს საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, უკუდაბეგვრის წესით სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელ თანხას - 450 (ოთხას ორმოცდაათი) აშშ დოლარს)), მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და ინვოისის გადმოგზავნიდან 30 დღის ვადაში;

7.3 საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, უკუდაბეგვრის წესით ბიუჯეტში (დღგ-ს) გადასახდელი თანხის გადასადა მოხდება მომსახურების გაწევისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1. შემსყიდველი ვალდებულია:

8.1.1 ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) თვის ვადაში დაასრულოს ქმს ISO 37120-ის დადასტურების პროცესი (ISO 37120-ის განმარტებების და მეთოდოლოგიების მიხედვით) და ინდიკატორებზე ანგარიშის ჩაბარება.

8.1.2 არ ჩაერთოს ისეთ საქმიანობაში, რომლის შედეგად მოხდება ქმს-ს წევრების, ქმს-ს საქმიანობასთან დაკავშირებული მესამე პირების ან/და ქმს-ს საქმიანობით დაინტერესებული სხვა პირების შეცდომაში შეყვანა, მოტყუება ან დაზიანება;

8.1.3 არ დაამახინჯოს ქმს-ს სერტიფიცირების შინაარსი, სტატუსი, მოქმედების სფერო ან ეფექტი;

8.1.4 დაუყოვნებლივ შეასრულოს ქმს რეკომენდაცია, რომელიც ეხება ხელშეკრულების 8.1.2 და 8.1.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევების გამოსწორებას.

8.1.5 დაიცვას ქმს-ს ვებ-გვერდისა და ღია საქალაქო ინფორმაციის გამოყენების წესები. ინფორმაციის გამოყენება ვებ-გვერდიდან www.dataforcities.org და მისი სუბდომენიებიდან (მთლიანობაში „ქმს ვებ-გვერდი“) კონტროლდება ქმს-ს ვებ-გვერდის და ღია საქალაქო ინფორმაციის გამოყენების პირობებით, ორივე ხელმისაწვდომია მოცემულ ვებ-გვერდზე;

8.1.6 ქმს-ს და www.dataforcities.org ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია არ გამოიყენოს კომერციული მიზნებისათვის, გარდა იმ ინფორმაციის ნაკრებისა, რომელიც ქმსს ღია საქალაქო მონაცემების პორტალზე ხელმისაწვდომია;

8.1.7 მიმწოდებლის ნებართვის გარეშე არ უნდა შეცვალოს, მოდიფიკაცია გაუკეთოს ან დაამახინჯოს სერტიფიკატი ან ბეჭდის ნებისმიერი ფორმა;

8.1.8 არ გაყიდოს, დისტრიბუცია არ გაუწიოს ან არ გაავრცელოს გაუმჯობესებული ინფორმაციის ნაკრები. გაუმჯობესებული ინფორმაციის ნაკრები შეიცავს დამატებით ინფორმაციას, რომელიც თავისუფლად ხელმისაწვდომი არ არის ქმს-ს ღია საქალაქო ინფორმაციის პორტალზე. ქმს-ს წევრ ქალაქებს აღნიშნული ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ ქმს-ს ქალაქების პორტალზე.

8.1.9 აღიაროს და პატივი სცეს იმ ფაქტს, რომ ქმსს ინარჩუნებს ყველაწარმო საავტორო უფლებას ნებისმიერ სამუშაოზე, რაც გათვალისწინებულია მე-8 მუხლის მე-7 პუნქტში.

8.1.10 დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ქმს-ს ნებისმიერი ფაქტორების ცვლილების შესახებ, რომლებიც გონივრულად გავლენას მოახდენენ შემსყიდველის სერტიფიცირების დონეზე ან/და სერტიფიკატის ნამდვილობაზე.

8.1.11 მიმწოდებლის გონივრული მოთხოვნის შედეგად, გააკეთონ ყოველივე და ხელმისაწვდომი გახადონ ყველა პირობა, დამატებითი დოკუმენტების ან ინსტრუმენტების მოპოვების და მიწოდების, ასევე თანხმობის და/ან ნებისმიერი ინფორმაციის გამოყენების უფლების ჩათვლით, რაც შეიძლება გონივრულად იქნეს მოთხოვნილი ქმს-ს მხრიდან შეთანხმების პირობების შესრულებისათვის ან ქმს-ს გლობალური ქალაქების რეესტრისათვის.

8.1.12 არ გააკეთოს სერტიფიკატის ასლი ქმს-ს წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა თუ ეს წინასწარ არის შეთანხმებული.

8.1.13 თუ შემსყიდველის სერტიფიკატი ან მოცემული შეთანხმება გაუქმდა შემსყიდველმა დაუყოვნებლივ:

8.1.13.1 უნდა შეწყვიტოს ნებისმიერი სერტიფიკატის ნიშნის ან ბეჭდის გამოყენება, რომელიც ქალაქს სერტიფიცირების შედეგად გადაეცა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

8.1.13.2 უნდა შეწყვიტოს სერტიფიკატთან დაკავშირებული ნებისმიერი რეკლამა ან მისი სხვაგვარი გამოქვეყნება.

8.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

8.2.1 წერილობით მიმართოს მიმწოდებელს, რათა მან განახორციელოს დამატებითი მომსახურება ან სხვაგვარად შეიტანოს ცვლილება ISO 37120-ის სერტიფიცირების და რეგისტრაციის მომსახურების პაკეტში.

8.2.2 სერტიფიცირების გავლის შემდეგ მიმწოდებლისგან მიიღოს სერტიფიკატის 2 (ორი) ასლი.

8.2.3 მიმწოდებელს მოსთხოვოს წინარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესარულება.

გამოიყენოს ინფორმაცია ვებ-გვერდიდან www.dataforcities.org და მისი სუბდომინებიდან (მთლიანობაში „ქმსს ვებ-საიტი“), რომელიც კონტროლდება ქმსს ვებ-გვერდის გამოყენების პირობებით და ღია საქალაქო ინფორმაციის გამოყენების პირობებში, ორივე ხელმისაწვდომია საიტზე www.dataforcities.org.

8.2.5 ისარგებლოს გაუმჯობესებული ინფორმაციის ნაკრებით, რომელიც შეიცავს დამატებით ინფორმაციას და თავისუფლად ხელმისაწვდომი არ არის ქმსს ღია საქალაქო ინფორმაციის პორტალზე.

8.2.6 ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, გასაჯაროვოს ხელშეკრულების პირობები და სერტიფიკატის მიღების ფაქტი, რის დასადასტურებლადაც გამოიყენოს ხელშეკრულება და სერტიფიკატი.

8.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.3.1 უზრუნველყოს შემსყიდველის ქმსს გლობალური ქალაქების რეგისტრში სერტიფიცირებისა და რეგისტრაციის (ISO 37120) მიზნით მომსახურების გაწევით. მომსახურება მოიცავს მონაცემების დადასტურებას (რომელიც ხორციელდება შესაძრე დამოუკიდებელი პირის მიერ), მათი შედეგების შესაბამისი სერტიფიკატის მინიჭებას, ზემოთ აღნიშნულ რეგისტრში რეგისტრაციას, წერილობითი ფორმით სერტიფიკატის დონის შესახებ რეკომენდაციის გაწევასა და სერტიფიკატის გადაცემას.

8.3.2 მომსახურების შესრულების (ქმსს გლობალური ქალაქების რეგისტრში რეგისტრაციისა და ISO 37120 სერტიფიცირების) შემდეგ შემსყიდველს წერილობითი ფორმით მიაწოდოს რეკომენდაცია სერტიფიცირების დონის შესახებ.

8.3.3 შემსყიდველის მიერ ISO 37120-ის სერტიფიცირების სერვისების დამატების ან ცვლილების მოთხოვნით მიმართვის შემთხვევაში, მიაწოდოს დამატებით გასაწევი მომსახურების ღირებულება.

8.3.4 ქმსს გლობალური ქალაქების რეგისტრში რეგისტრაციისა და ISO 37120 სერტიფიცირების შემდეგ გადასცეს სერტიფიკატის 2 (ორი) დამოწმებული ასლი.

8.3.5 ქმსს გლობალური ქალაქების რეგისტრში რეგისტრაციისა და ISO 37120 სერტიფიცირების შემდეგ კეთილსინდისიერად ითანამშრომლოს შემსყიდველთან.

8.3.6 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

8.3.7 შემსყიდველს გაუწიოს დახმარება (რეკომენდაციები, მითითებები და ა.შ), მასზედ დაკისრებული მოვალეობების დროულად და სწორად შესრულებაში.

8.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

8.4.1 შემსყიდველს მოსთხოვოს კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

8.5 შემსყიდველი თანახმაა მიმწოდებლისათვის მიწოდებული ინფორმაცია (გარდა კორექტივებისა - შემსყიდველსა და მიმწოდებელს/შესაძრე დამადასტურებელ პირებს შორის მიმოწერისა) საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახდეს ქმსს ვებ-გვერდის მეშვეობით. ღია საქალაქო მონაცემების გამოყენების პირობების გათვალისწინებით. შემსყიდველის დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებლის მხრიდან შეიძლება სხვა დოკუმენტაციაც გახდეს კონფიდენციალური, რომელიც ISO 37120-ის სერტიფიცირების პროცესში გადაეცათ შესაძრე დამადასტურებელ პირებს.

8.6 მიწოდებული ხელშეკრულების 8.5 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის კონფიდენციალობის შენარჩუნებისგან თავისუფლდება, თუ:

8.6.1 ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდა საზოგადოებისთვის შემსყიდველის ან შესაძრე პირის მხრიდან;

8.6.2 ინფორმაცია უნდა გასაჯაროდეს კანონის, სასამართლოს ან ტრიბუნალის აქტის საფუძველზე. ამ შემთხვევაში, მიმწოდებელი წერილობით შეატყობინებს შემსყიდველს აღნიშნულის შესახებ;

8.6.3 მიმწოდებელმა იგივე ინფორმაცია მიიღო სხვა მხარისგან შეზღუდვის გარეშე;

8.6.4 შემსყიდველი წერილობით ეთანხმება ინფორმაციის გასაჯაროებას;

8.6.5 ინფორმაცია მიმწოდებლის საკუთრებაში იყო შემსყიდველის მიერ მიწოდებამდე ან დამოუკიდებლად მოიპოვა.

8.7 შემსყიდველი აღიარებს და ეთანხმება, რომ მის მიერ გაცემული ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდგომში, შეზღუდვის გარეშე: ქვე-რეგისტრში, მაჩვენებლებში, შეხვედრებზე, პრეზენტაციებში, სიმპოზიუმებზე და კონფერენციებში, ანგარიშებში, ნაშრომებში ან სხვა დოკუმენტებში, ან ნებისმიერი სხვა გზით, რაც შესაბამისობაშია ქმსს-ს მიზნებთან და ქმსს ჩათვლის შესაფერისად.

8.8 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთმანეთისა და შესაძრე პირების საავტორო უფლებები. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარის სახელი, სავაჭრო დასახელება, სასაქონლო ნიშანი ან ლოგო გამოიყენოს ელექტრონული ან დოკუმენტის სახით, თავისი სარეკლამო ან მარკეტინგული მიზნებისათვის, ან მასალები, რომლებიც გასაჯაროებისკენ არის მიმართული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მეორე მხარე წერილობით გამოხატავს თანხმობას. ეს არ გულისხმობს წინასწარ შეთანხმებული სასაქონლო ნიშნებისა და ლოგოების გამოყენებას.

8.9 მხარეები თვითონ არიან მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელი.

8.10 ამ ხელშეკრულების ან სერტიფიკატის მოქმედების ვადის შეჩერების ან ვადის გასვლის მიუხედავად, შემსყიდველი თანახმაა, მის მიერ მიმწოდებლისთვის მიწოდებული ინფორმაცია, გარდა 8.5-ით გათვალისწინებული გამონაკლისისა, გამოიყენოს ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის, ქმსს-ს ვებ-გვერდის გამოყენებისა და ღია ქალაქების ქსელში განთავსებული ინფორმაციის გამოყენების წესების დაცვით (აღნიშნული წესები განთავსებულია ქმსს ვებ-გვერდზე www.dataforcities.org).

შემსყიდველი უარს აცხადებს ნებისმიერ მოთხოვნაზე მიმწოდებლის წინააღმდეგ და თანხმდება, რომ დაიცვას და გაათავისუფლებს ქმშს-ს, მის წევრებს, თანამშრომლებს, დირექტორებს, კონტრაქტორებსა და წარმომადგენლებს ნებისმიერი მოთხოვნისგან, ზარალისგან, დაზიანებისა თუ ვალდებულებისგან (წარმოიშვა ეს ქალაქზე არასწორი ინფორმაციის გამო თუ სხვაგვარად), თუ ეს წარმოიშვა ქმშს ვებ-გვერდის გამოყენებისა და ღია ქალაქების ქსელში განთავსებული ინფორმაციის გამოყენების წესების დაცვით ინფორმაციის გამოყენებით.

8.12 ქმშს არ იღებს პასუხისმგებლობას ან ვალდებულებას ინფორმაციის სრულყოფილებასა და სიზუსტეზე.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.4 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

9.5 თუ შემსყიდველის მიერ სერტიფიკატის მოქმედების ვადის შეჩერებიდან 90 (ოთხმოცდაათი) დღის ვადაში არ მოხდება გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრა, მიმწოდებელს შეუძლია გააუქმოს სერტიფიკატის მოქმედება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საზოგადო ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყერის ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული.

10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოანახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს

სტრუქტურულუბას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე. ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1 მოცემული შეთანხმება მიმართულია პირადად მხარეებისათვის და არ შეიძლება გადაეცეს, კანონის ან სხვა პირობის გამო სხვა პირს, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისათვის მთლიანი ან დარჩენილი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე, აგრეთვე, მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დარჩენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

12.2 მიმწოდებელს არა აქვს უფლება მხარეთა (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი) წერილობითი შეთანხმების გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12.3 უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

13. ღირებულება

13.1 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.

13.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

13.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

13.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

14. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

14.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით. შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით. ამასთან მიმწოდებელს 24 საათის განმავლობაში ჩართული უნდა ჰქონდეს 14.2 პუნქტში მითითებული ტელეფონის ნომრები.

14.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:

ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: საკონტაქტო პირი: ქალბატონ პატრიცია მაქქარნი; ტელეფონის ნომერი: +1.416.966.2368 ელექტრონული ფოსტა: patricia.mccarney@globalcities.ca

ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: საკონტაქტო პირი: ბატონ შოთა სადრიშვილი, მობილური ტელეფონის ნომერი: +995 591 21 40 70; ელექტრონული ფოსტა: sagrishvili.shota@gmail.com

14.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.

14.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღიდან.

15. სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერილ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან).

15.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შერია
მის: ქ. თბილისი,
ქ. შარტავას ქ. № 7
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ა/ა № GE24NPO330100200165022
ს/კოდი: 026009593



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის მოსახლეობის
განყოფილება

მიმწოდებელი:

World Council on City Data
მის: 11 Evergreen Gardens, Toronto, Ontario
M4G 1C4 Canada
სს „TD Canada Trust“
Swift კოდი: TDOMCATTOR
ა/ა № 7305555
ს/კოდი: 026009593

„World Council on City Data“ -ს
პრეზიდენტი და აღმასრულებელი
დირექტორი

პ. შაქქარნი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მოწერნი და ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირები ვადასტურებთ, რომ აღნიშნული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

შეთანხმებულია:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური
შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსი




დავით მორალიშვილთან

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი



ვახაბერი გვანცელაძესთან

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი



ვაიოშ თალაკვაძესთან

Agreement

On State Procurement 04.10/10/629

Tbilisi

05.12.2016

1. Signatory parties of the Agreement

On one hand Tbilisi City Municipality Hall (hereinafter –Purchaser and/or city), represented by Irakli Lekvinadze -Deputy Mayor of Tbilisi Municipality and on the other, World Council on City Data” (hereinafter – Provider and/or WCCD) represented by its President and CEO Patricia McCarney, signing the forego Agreement on the following:

2. Object of the Agreement (purchase), means of purchase,
cost and validity of Agreement

- 2.1 Subject of Agreement (purchase): According to the forego Agreement, purchase of the services of international standard certification ISO 37120 “Sustainable development of communities - Indicators for city services and quality of life” and registration in WCCD Global Cities Registry™.
- 2.2 Means of purchase: Simplified Procurement, according to the Georgian Law on “Public Procurement” article 10¹, paragraph 3, sub-paragraph “a”, Decree N22.05.477 of Tbilisi City Hall Municipality Government issued on June 8, 2016 on “Consent on simplified procurement for Tbilisi City Hall”, Decree N2813 of the Chairman of the State Procurement Agency, issued on October 3, 2016 (SMP160002610) and Ordinance N1-1694 of the Mayor of Tbilisi Municipality, issued on September 15, 2016.
- 2.3 Object of the Agreement (purchase): Purchase of registration service in the Global Cities Registry™ of WCCD and certification with international standards of ISO 37120 “Sustainable development of communities -Indicators for city services and quality of life” of Tbilisi city. Service includes a registration in Registry of global cities™ WCCD, verification of the data (carried out by third-party independent verifiers), granting with relevant certificate, written notice setting out the recommended level of certification and awarding with the certificate.



Based on the criteria, indicators and information presented to the World Council on City Data by the pretender, the city is awarded with certification in one of five categories as illustrated below.

Categories of ISO 37120 certificate (hereinafter WCCD) of World Council on City Data are:

Aspirational	Bronze	Silver	Gold	Platinum
30-45	46-59 Indicators	60-75 Indicators	74-90 Indicators	91-100 Indicators
Core Indicator	(46 Core + 0 - 13 Supporting)	(46 Core + 14 - 29 Supporting)	(46 Core + 30 - 44 Supporting)	(46 Core + 45 - 54 Supporting)

2.4 Validity of the certificate is 1(one) year after granting the relevant certificate by WCCD. Three (3) months prior to the expiry date, the WCCD will provide the City with a renewal notice and invoice to renew certification. Upon receipt of the applicable payment and updated information for ISO 37120 certification, upon certification of this data, the WCCD shall provide a new Certificate setting out the applicable expiry date to the City.

